

სასოფლო გზეთი



სასოფლო
გზეთი

გზეთის ფასი:

გზათვის ტფილისში	გაუზღვევლათ
და გარეშე აღილებში:	მან.
პრისის წლისა — 4 მან.	— 3
ნახევრის წლისა — 3 —	— 2
სამის თვისა — 1 მ. 50 კ.	— 1 მ.

მესამე წელიწადი

მამარღის შაბათობრივ.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისის „სასოფლო გზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კაპა. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. მებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდითა. ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის აღწერს: Въ Тя-лись, въ контору редакціи, СЕЛЬСКОЙ ГАЗЕ-ТЫ“, при типографіи Меликова и К.-а.

შოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასაპართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოგზავნოს გზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კაპა. სტამბაში.

№ 4. შაბათი.

III.

28 თებერვალს 1870 წ.

შინაარსი:

— ამხანაგობით თავნების შედგენა სოფლებში. — მორიოდ სიტყვი ღვინის ფასზე და ღვინის დაყენებაზე. — საჩქინო ნაწილი: — წყლით ექიმობა სახალიანსა. — სხვა და სხვა ამბები: — მოსტრეულობის შენახვაზე. — მკვანჩეების განაყოფიერებაზე. — მომწუდარ ვარსკვლავებზე. — მერცხლის ბუდე. — საბიბლიოგრაფო ცნობა.

ამხანაგობით თავნების შედგენა სოფლებში.

როდესაც დედა მიწა ზამთრის ქერქიდან გამოვა და გაზაფხულის სული მოატანს, ჩვენი სოფლელი ემუტრება ყანაში გუთნის გატ ნას. თუ მარტვა ხელია, მაშინვე თვალს მოჰკრავს თავის დაცალიერებულს უჯრას და დაღონებით იტყვის: „სადა ხარ შენ ოხერო ფულეობო; მე ახლა მუშა მიხდა და არ ეცი, როგორ, დაიქირავო? — როგორ დაიფუო მუშაობა, უფულოთ რომ არაიენ მომეკარება“. ეს არამც თუ მარტვა ხელი გლენის ოხერაა, ყოველი ოხრელა გლენის და აზნაურის ჩივილიც ეს არის. შოველ ნაირ მუშაობას ხელი უნდა და არსად არის, ამიტომ რომ ფული და ნდობა არა აქვს მეოჯახეს, მიტრიალდება მოტრიალდება და ბოლოს მეტი ღონე არა აქვს ქალაქს გაუტევეს, სადაც ერთ ორ თუმანში უფირავებს ვაჭარს თავის მიწა-წყალს და წლის გასკლამდის თუმანზე თუმანს აძლევს სარგებელს.

* *

ამსახით თავის მონაგებს სულერთიანათ მოვალეს უყრის ხელში და თეთიან წლის

სარჩო თუ დაირჩინა, ისიც დიდი ღვინის წყალობა იქნება. წლითწლობა მდგ ჩვენი მეოჯახე მუდამ ამისთანა ჭაპანწყვეტაშია და ოდნით გაუზჯობესობა არ ეტყობა იმის ცხოვრებას. მუდამ გაკირებას გრძნობს, სიღარიბედან თავი ვერ დაუძვრია; იმიტომ რომ მოგებას სულერთიანათ სესხის სარგებელში აძლევს. თუ კვლავაც ამისთანა გარემოებაში დარჩა ჩვენი სოფლელი, თავის ღღეში იმის შეძლება ფეხს წინ ვერ წადგამს.

* *

ბატონ-ყობის განთავისუფლებით მუშის ქირამ იმატა. მიწის მუშაობას და სოფლურ ოჯახობას იმიით კიდევ უფრო ცუდი დრო დაუდგა. მუშაობისთვის ფულია საჭირო და ის კი საზოგადოთ მიწის მომუშავეს ცოტა აქვს, მაგრამ უფრო განათლებულ ქვეყნებში ნდობა მაინც არის. როცა უნდა სოფლელს, ფულს მაშინ იზოენის ცოტა სარგებლით, ჩვენში კი არამც თუ იზოენის, ადგილამულიანა თავიც რომ დაუფირაოს მოვაკრეს, იმდენს მაინც ვერ ისესხებს, რაც მისთვის საჭიროა. რომ სადმე რიგიანი სარგებლით იზოენიდეს სოფლელი მეოჯახე სასესხებელ ფულსა, მეტი რა უნდა; მაგრამ იმის მიწა-წყალს ფასი არა აქვს. ის შორს არის ქალაქზე, ვაჭარს ადვილათ ხელი ვერ მიუწვდება იმაზე და ამისგამო სოფლელს ნდობა არა აქვს, რადგან იმისი გირაო მაგდენათ ქალაქის კაცს არაფრათ უღირს. მართლაც ვაჭარმა რომ ასესხოს ფული და დაიფირაოს სოფლელის მიწა-წყალი, ან კი რა უნდა უყოს იმას.

რომ დასპირდეს, სხვას ვერ დაუფირავენს, ვერ გაჰყიდის; მიწა-წყალი უძრავია. უფლისავთ ერთი ადგილიდან ვერ დასძრავს; თვითონ რომ ფული დასპირდეს, ამ გირაოთ ხომ ფულს ევლარ ისესხებს მესამე პირისაგან. ამისთვის ან სულ არაფერს აძლევს სოფლელს მიწა-წყალის გირაოში და ან თუ გაბედა სესხება, ისე ცოტა ფულს მისცემს, რომ იმის მიწა-წყალის მეათედი ფასიც არ იქნება და იმასაც ისეთი სარგებლით აძლევს, რომ მეოჯახეს მანეთი მანეთით უჯდება წელიწადში. ან კი რაქნას მოვაკრემ! იმასაც ემინია საქმის გაჯანჯელისა, ამიტომ რომ მიწის გირაოდან სარგებლობას არ ელის.

* *

აი, ამისთანა გარემოებისაგან, ესე იგი ფულისა და ნდობის უქონლობით, მთელი მართლმანეთის მიწა-წყალი სულ ვალში დაგირავდა და არც აწ არის იმედი, რომ ამა ვალიდან ოდენმე გამოვიდეს ჩვენი ერთი. როდესაც ამაგებს კარგათ წარმოვიდგენთ, დაერწმუნდებით, რომ თუ სოფლებში ამხანაგობით თავნები არ შეგროვდა, რომ იქილგაა ყოველ მეოჯახეს შეეძლონ მკირე ვალით ფულის სესხება და ხელის გამართვის შემდეგ პატარა სარგებლის ძლივით ისევე უკან დაბრუნება ნასესხები ფულისა, ჩვენი თავის დახწვევა სიღარიბედან შეუძლებელია; ის კი არა ახლანდელს მდგომარეობაში თუ დაერჩით, რაც დრო გამოვა კიდევ უფრო და უფრო სიღარიბეში ჩავარდებით, ამიტომ რომ მუშის ქირა თანდათან მატულობს, მიწის მოსავალი თანდათან კლება.

ბულონს და ამისთვის ფასიც იმდენი აღარ ექნება.

* *

ჩამდენათაც გლახისთვის არის საქირო ფულით ხელის მოცემა დაჭირების დროს, იმდენათ და კიდევ უფრო მეტათ თავად-აზნაურობა საქიროების ამას. სწორეთ მეტი ღონე არ არის ამხანაგობით თავნის მოგროვებას უნდა შეუდგეთ და ამ საქმეში ჩვენი თავად-აზნაურობის განთლებული პირები უნდა გახდნენ მოთავეურ. აქ უფრო იმათ საჩვენებლათ მოკეყვანთ ერთი ამხანაგობის დაწესების მაგალითი როსეთში, რომელმაც სამი წლის განმავლობაში ისე კარგათ მოაგვარა საქმე, რომ ამ ქმად ამხანაგობაში ითვლება ორასზე მეტი მონაწილეთ, რომელთაც თავნი აქეთ ორას ორმოც თუმანზე მეტი და სამი წლის განმავლობაში ამავე გლეხებს თავისევე შედგენილ თავნიღვან უსესხნიათ და დაუბრუნებიათ ათას ორას თუმანდის. შოველ გლეხსა აქეს უფლება დაჭირებაზე ხუთი თუმანი ისესხოს თავნიღვან და თევში თუმანზე ორი შაურის მეტს სარგებელს არ აძლევს, ისიც ნახევარი სარგებელი ისევ გლეხისა არის, რომელიცა თუმც შეაქვს, მაგრამ თავნთან ენახება.

* *

ჩვენში არიან ისეთი მებატონენი, რომელთაც ორმოცდაათი და ასი თუმანის ვალება გლეხებზე თავნის შესადგენათ არ გაუჭირდებათ. იმათი ხელმძღვანელობით ამხანაგობის საქმე ძალიან კარგათ წავიდოდა პირველ შემთხვევაში და შემდეგ ჩამდენათაც თვითონ ისარგებლებდნენ, ათი იმდენს ქვეყანას ასარგებლებდნენ-გამოიხსნიდნენ თავის თავს და საქართველოს ხალხს ახლანდელ გაჭირებულ მდგომარეობიდან.

* *

ქვეი არა გვაქვს, რომ ლუგანინის ღვაწლი და შრომა ზოგიერთ გონება გახსნილს ჩვენ მებატონენებსაც წააქეზებს ამ ქვეყნის სასარგებლო საქმეზე და ამისთვის ვისწრაფით მოკლეთ განვიხილოთ როჟდესტენსკის სასოფლო ბანკის დაწყობილება, რომლის დაარსებაც ითავა ზემოთ მოხსენებულმა განათლებულმა რუსეთის მებატონემ ლუგანინმა.

* *

ლუგანინი ამბობს: გლეხობისა ანუ უკეთესეთათ თავნის კეთილდღეობისთვის საქირო

ნდობის მოპოება, გაჭირებაზე ყოველ სოფელს უნდა შეეძლოს სესხით და რიგიანი სარგებლობით ფულის შეგება; უამისოთ ოჯახობის საქმე ფებს წინ ვერ წადგამს და მომავალ დროშიაც ყოველი მეოჯახე შინ ცეცხლის გაქრობას უნდა მოელოდეს, თუ ფული ვერ იშოვნა ხოლმე, როცა უჭირს. საერთო ნდობის გამართვა შეიძლება ყველაფერ ამხანაგობით. ნდობის გაჩენა სოფლებშივე იმდენით სასარგებლო და საგრძნობელია, რომ სოფლები არაოდეს უარს არ იტყვიან ამხანაგობით თავნის მოგროვებაზე და რაკ ერთხელვე შეგვიყვინ ამხანაგობით მოქმედებას და მაგალითით შეიტყობენ, რა ძალა აქვს ამხანაგობას, ან რა ადგილათ შეუძლიან იმას თითო გლეხის გამოხსნა სიღარიბისაგან და ყოველნაირი უბედურებისაგან, მაშინ რასაკვირველია, ამისთანა საქმეს ყველა ხელს მიჰყოფს და ყოველ საქმეშიაც დაიწყებენ ამხანაგობით მოქმედებას.

* *

ღედი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ბერმანიაში დაიწყო ერთმა კაცმა სახელად შულცე-დელიჩმა ხელის გაწყობი ამხანაგობის შედგენა და ამ ქმად თითქმის მთელი ბერმანია სასევა ამისთანა ამხანაგობებით. ზოგი იმისთანა ამხანაგობაა, რომ მილიონ ფულს ატრიალებენ. ლუგანინისგან გამართული როჟდესტენსკის ბანკიც ამ წესზეა გამართული. ამ გვარი ამხანაგობა დაიწყებს ხოლმე მოქმედებას იმით, რომ ისესხებს ფულს სოფლებული პირისაგან და ერთმანეთში დაირიგებენ ხოლმე მუშაობით ფულის შეგებადის და მერე ნასესხებს ფულს ისევ უბრუნებენ ამხანაგობას სარგებლობით. სარგებელი იმაზე მეტი უნდა იყოს, რასაც ამხანაგობა აძლევს სხვას ნასესხებს ფულში.

* *

ბერმანიის ბანკებმა ცხადთ დაამტკიცეს, რომ ამხანაგობით ადგილათ შეიძლება სესხის შეგება, მაშინ როდესაც ერთ კაცს არ შეუძლიან ნდობა მოიპოვოს ამიტომ რომ ერთი კაცი შეიძლება აეთ გახდეს, მოკედეს კიდევ და ფული დაიკარგოს. როცა მივილი სოფელი სესხულობს საერთოთ, მაშინ ნდობა დიდია, რადგან მთელ სოფელს ბევრი შეძლება აქვს და ფულის დაკარგვის ფეხიც არ არის, მართლაც ამ ქმად ბერმანიის ამხანა

გობანი ძალიან ადგილათ მოუფლობენ ფულს და სარგებელსაც უფრო ცრტყან, რამდენადაც ჯერდებიან მოვალენი.

* *

როგორც ზემოთ ვთქვით, ყოველი მონაწილე, როცა ამხანაგობისაგან ფულს სესხულობს სარგებელს იმაზე მეტს აძლევს, რასაც თვითონ ამხანაგობა იხდის. მა ეს მომეტებული სარგებელი მონაწილე ამხანაგის საკუთრებაა, იმას ვერაინ წართმევს. მაშინვეტებული სარგებელი და თვის თავზე გამოღებული ფული ყოველი გლეხისგან შეადგენს იმის წილს ფულს საამხანაგო თავნში. ამ სახით ყველა ამხანაგის წილი გროვდება მომეტებული სარგებლისაგან და თვის თავზე გამოღებული ფულისაგან; ასე რომ ბოლოს ყოველს წილი მოახსნავე გლეხს რეა თუ ათ თუმანდის უგროვდება თავისი წილი ფული საამხანაგო თავნში. ს. ლუგანინმა ამ კანონით დააწესა როჟდესტენსკის საამხანაგო ბანკი.

* *

როდესაც ამხანაგობით შედგება თავნი, იმას კი გამგებაც უნდა: ანგარიში ყოველთვის გაწვენილი უნდა იყოს, ვის ჩამდენი უსესხობნია, ან ვის ჩამდენი შემოუტანია თავის წილათ და ან ვისზეა დარჩენილი ასაღები ფული. პირველ შემთხვევაში ამხანაგობას თუ საშეცდნე და ნასწავლი კაცი არ ეყოლა შედარებით მხედველათ, იმის საქმე კარგათ ვერ წავით. მაგრამ ეს შედახმეველი პირი თუ პირველ შემთხვევაში საქმის უტოლინარობის გამოსადგენია, შემდეგ ამან ისე სინიდიანათ უნდა დაიწყოს წიყვიანოს საქმე, რომ ამხანაგობის საქმეშივე თვითონ აღარ უნდა გაეროს; იმან უნდა იხმამაროს ყოველი ღონისძიება, რომ თვითონ ამხანაგობას მოაქიდებინოს ხელი თავის საქმეზე და სხვის იმდეთ აღარ ამყოფოს. ითუ ამხანაგობა თვითონ არ მიეჩეია თავის საქმის მართვას და თვითონ არა გრძნობს ამის საჭიროებას, თავნის საქმე მალე ჩაიშლება და სარგებლობის მაგიერათ დიდს ზარალს მიცემს ქვეყანას; ამიტომ რომ დაარწმუნებს სოფლებებს იმის უფარგობაზე: „რა ბატონენო! აკი შეეფარგეთ ფული ამხანაგობით, მაგრამ არა გამოვიდა რაო?—დაიწყებენ ლაპარაკს სოფლებში.

* *

ჩვენი როჟდესტენსკის ბანკი განმართა ამბობს ლუგანინი,—მეტლუჟის მთიულ მცხოველ



რებლებში, რომელნიც ქალაქის ახლოს მცხოვრებლებზე ბევრათ უფუნთურნი არიან და ამისთვის საჭიროთ შეერთებეთ ჩენი დახმარება. საცა უფრო გარნება გახსნილი ხალხია, იქნება ამისთანა დახმარება ბანკის გამართვაში სულაც არ იყოს საჭირო, თუცა ძალიან საიჭუკაო, რომ გამოუცდელ კაცებს შეეძლოს ბანკის კარგათ წაყვანა. როჟდესტენსკის ბანკის წესდებით ჩვენ გავხდით შედამხედველად. აი, რასში მდგომარეობს ჩენი შედამხედველობა: თვალს ვადევნებთ, რომ რაც ბანკის წესია, არაიენ დარღვეოს, არაიენ გადასცდეს ამხანაგობის კანონს, ანგარიში გაწმენდილი იყოს ხოლმე და ხანდახან შევაიწმენებთ კიდევ დავთრებს და საანგარიშო წიგნებს*.

*
უგანინმა ასესხა ამხანაგობას ასი თუმანი უსარგებლოთ და სანამდის ამხანაგობა არ გადინდის ამ ვალს, მანამდის იმის ზედამხედველობა არ მოიშლება.

* *
ჩვენ ეს ზედამხედველობა—ამბობს ლუგანინი—ბოროტებათ მიგვაჩნია, მაგრამ უამისოთაც პირველ შემთხვევაში საქმის რიგინათ წაყვანა არ მოხერხდება; რაც გვეწყობა ცდილობთ, რომ ჩენი ვარევა ამხანაგობის საქმეში არ იყოს და ვაგონებთ გლახებს, რომ ამხანაგობა იმათი საკუთარი საქმეა და თუ კარგა წაიდა, ან-თუ ჩაიშალა—ეს თქვენ გულგრილობაზე ან თქვენ ცდაზე იქნება დამოკიდებული*. ამ სახით საამხანაგო ბანკის საქმეში მყოფენ განათლებული კაცის ვარევა საჭიროა, მაგრამ იმ პირობით, რომ იმან მოამზადოს ამხანაგობა თავისუფლოთ მოქმედებისთვის. რასაკვირველია სხვა კაცისათვის ძნელია პირველ შემთხვევაში გლახებთან საქმის დაქტრა, მაგრამ ნურც ის ჰგონია კაცს ადვილი, რომ ხალხის გაზდა ადვილი იყოს. თუ კაცი აუჩქარებლათ და პატიოსნათ იმოქმედებს, ფიქრი არ არის.

* *
ამხანაგობამ ზედამხედველობის გზად, ყოველივე საამხანაგო ბანკის საქმე თითონ უნდა წაიყვანოს. იმან უნდა დაიწყოს მოქმედება თავნის სესხებით. წინ დაწინ ძნელია გამოიანგარიშოს კაცმა რამდენი თანია საჭირო საქმის დაწყებისთვის. მს დამოკიდებულია არგზე, რომელსაც მოითხოვს თავნის მუშაობა. რაც უფრო დიდი ფული იქნება მუშა-

ობაში, იმდენათ უფრო ბევრს ხარჯს მოიხივს, რადგან ბევრი ანგარიში უნდა და ბენი შემოსავალ-გასავალიც ექნება იმას.

მაგალითად როჟდესტენსკის სოფლის საზოგადოებამ ისესხა ასი თუ მანი და ამ ფულმა წლის გასულს მოუტანა სოფელს სარგებლობა ოცი თუ მანი და ექვსი მანეთი, რომელიც ბანკის წესდების კანონით ამხანაგობამ გადასცა შესანახათ. ჩვენ ამ ერთი წლის მოგება, რომელიც შესანახათ გადასცეს სოფლელებმა, დაეარქვით სულადითა ენი. მოჰქირნეთ რომ დაეჭირა საქმე ამხანაგობას და სრულდებით უყურადღებოთ ყოფილი იყო, შემოსენებული მოგებიდგან უნდა მიეცა ფულის პატრონისთვის ექვსი თუ მანი; ამიტომ რომ კანონიერი სარგებლით თეში თუმანი ერთ შაურათ არის. შულის შემნახველს, მოანგარიშეს და გამგებელს—ამ სამ კაცს ჰხედებოდა ჯამაგირათ ათი თუმანი და ექვსი თუმანი—თექვსმეტი თუ მანი; დარჩებოდა საზოგადოებს ნაღდი მოგება ოც-თუმნისა და ექვსი მანეთისაგან ოთხი თუმანი და ექვსი მანეთი, რომელიც გავხდებოდა სულადითა ენი და იქნებოდა ამხანაგობისა. და ამხანაგობას რომ არ მიეცა ჯამაგირი საქმის წამყვან კაცებისთვის, მაშინ სულადი თანე ოთხ თუმნის მაგიერათ თოთხმეტე თუმანი და ექვსი მანეთი შეიქმნებოდა და პირველ წელში ეს კი მოგება იქნებოდა.

* *
თუ პირველ ორ სამ წელიწადს თანის მოხელე კაცებმა ჯამაგირი არ აიღეს, შეიძლება სოფელმა ორმოცდა ათი თუმნითაც დაიწყოს საქმე, რასაკვირველია ამ შემთხვევაში მონაწილე ამხანაგებშიც კოტანი უნდა იყენენ—ორმოც კაცზე მეტი არა,—თორემ სესხის ფული არ გავხედებათ. როდესაც ამხანაგობა ხარჯავს წელიწადში ას მანეთს გამგე პირებზე და ამხანაგობა პირველშივე დგება ას ოც კაცამდის, მაშინ საქმის დასაწყებათ საჭიროა ორას ორმოცდა ათი, ან სამასი თუმანი. ამ ფულით საქმე თავიდგანვე კარგათ წაეა და დიდი ფულიც დაიწყებს მუშაობას.


* *
როჟდესტენსკის ბანკის მოანგარიშეს პირველ სამს წელიწადს ეძლეოდა ჯამაგირი ლუ-

განინისაგან; ამ მეოთხე წლისთვის წილის ოცდაშვიდს ოცტომეგრის გამაგირის ერთი ჰქვიანი და საქმის მკოდნე კაცი მოანგარიშეთ, რომელიც დათანხმდა ხუთ თუმანს ჯამაგირზე ანგარიშის საწარმოებლათ. მს კაცი მართა ამ საქმეზე არ არის თავდადებული. ძიერაში ერთი დღე შეხედება ხოლმე საანგარიშოთ; სხვა დღეები კი როგორც უნდა; ისე უშუქლიან მოიხმაროს, მინცა და მინც ამხანაგობა მოანგარიშე პირის ჯამაგირზე ძალიან ხელმოჭერლი არ უნდა იყოს, ამისთვის რომ ზოგჯერ ცოტა ჯამაგირის ძლევა ძალიან საშიშოა, რადგან შეიძლება მოანგარიშემ საერთო ფულის პარეც დაიწყოს. ახლანდელი სოფლის მწერლები რომ არიან, იმათ არ ენდობა მოანგარიშობა, საამხანაგო ხაზინის გაქურდვა იცან.

* *
როდესაც ამხანაგობას დასჭირდება მოანგარიშე კაცის დაქარაგება, უნდა დაუნაწიროს ცოტა ჯამაგირი და წლის შემდეგ ამხანაგობის კრებამ მოგებიდგანაც უნდა არგოს რამდენიმე ნაწილი. მს იმიოთა კარგი, რომ მოანგარიშე ეცდება საქმის კარგა წაყვანას, რადგან მოგებაზე იქნება დამოკიდებული იმისი შემოსავალიცა. რაც უფრო ბევრი მოგება დარჩება გასულს წელს, იმისი ჯამაგირიც იმდენათ მოიმატებს.

* *
ხაზინის მმართველი კაცები უნდა იყოს ერთი მოანგარიშე ხაზინადარი და მეორე გამგე კაცი. მამგე კაცის მოვალეობა უნდა იყოს ხაზინის შემოწმება, თვალ-ყურის დევნება სესხის მიცემაზე ამხანაგობის თანეიდგან და ამასაც უნდა ეცადოს, რომ თავის დროზე შემოიტანონ ნასესხები ფული ამხანაგებმა. წარსული წლის ოცდა შვიდს წინობისთვის რომ კრება იყო, იქ ერთი კაცი კიდევ ამოიჩრის; ამისი მოვალეობაა, რომ ყოველ მოსესხეს გადახდევინოს ხოლმე გატანილი ფული. მამგე კაცს აქვს ხაზინის ყუთის გასადეები, ხაზინადარის ხელში მხოლოდ ყუთია, მამგე კაცი დესწრება ხოლმე ფულების შემოტან-გატანის დროს. მს მოხდება ხოლმე ყოველ კვირას შუადღის შემდეგ.

* *
ცხადია, რომ გამგე პირიც უჯამაგიროთ არ დადგება. როჟდესტენსკის ამხანაგობაში ერთი გამგე პირი ორ წელიწადს ასრულებდა თავს



თანამდებობას უჯამაგირით და მერე კი უარი თქვა. ძრებამ დაუნინა წელიწადში თუთხნეტი მანეთი ჯამაგირი და დარჩა ისევ გამგებლათ. ზემოხსენებულ პირებს გარდა ამხანაგობის კრება არჩევს ხოლმე ხუთკაცს, რომელნიც თვეში ერთხელ ამხანაგობის დათრების გასასინჯავათ და წლის ანგარიშის შესამოწმებლათ იკრიბებიან; ყველა ეს კაცები უნდა იყოს ამხანაგების კრებიდან ამორჩეული უყადლოთ, მაგრამ თუ ვისმე იმაგანს კრებამ ცული ყოფა-ქცევა შენიშნა, შეუძლიან კიდევ გადააყენოს და სხვა ამორჩიოს.

* *

ამხანაგობაში ყველაზე უფროსია ამხანაგობის კრება. ძრება ნიშნავს და გადააყენებს თავნის მამუშავებელ კაცებს, შვირევს ახალ ამხანაგებს, გამოირიცხავს ცუდ ამხანაგებს, განხილავს სამხანაგო თავნის კანონებს—რა უნდა შეიცვალოს და როგორ. საზოგადოებას შეუძლიან ძალიან კეთილი გაეღენა იქონიოს ამხანაგებზე: ესენი ამ კრებაში შეიტყობენ როგორ და რა ნაირათ მიდის ბანკის საქმე, ლაპარაკობენ, რა ღონისძიება მოიხმარონ, რომ კიდევ უკეთესათ წაიყვანონ სამხანაგო თავნის საქმე.

* *

თავდაპირველათ, როცა ბანკი გაიხსნა, გლეხები ხედავდნენ, რომ ბანკიდან ძალიან პატარა სარგებლით შეიძლება ფულის სესხება და ისესხებდნენ თუ არა, მერე დროზე აღარ შემოჰქონდათ და ცდილობდნენ ძალიან გაეფხვრათ საქმე. ხშირად მოხდებოდა, რომ კრება დაემუქრებოდა, მიწა-წყალს გაეციადით, თუ ეადი არ გადაიხადო და მხოლოდ მაშინ დაუბრუნებდნენ ხოლმე ნასესხებს ფულს. ძხლა ისე აღარ არის.

* *

წარსულის წლის ოცდა შვიდს ოკტომბერს რომ კრება იყო, ამხანაგობაში ატყდა ლაპარაკი იმაზე, რომ წმინდა მოგება დარჩა ოცი თუმანი ნაღდი და უნდა დაურიგდეს ამხანაგებს ეს მოგება, თუ არაო. მართლაც ეს ფული რომ გამოეტანათ და ერთმანეთში დაურიგებინათ, თავნი შემეცირდებოდა და ეს მოგებას ძალიან დასწევდა უკან. ამისთვის ლუგანინმა ურჩია: გამოეტანას ისა სჯობია, რომ თითო ამხანაგის საწილო ფული ამ მოგები-

დან თვის გადასახადს მოემატოს და დარჩის ისევ ბანკში საკუთარი წილის გასადიდებლათ. თუმცა გლეხისთვის ერთი და ორი მანეთი კაი ფულია, ხელში რომ მისცემოდათ, და კიდევ შეეძლოთ გამოეტანათ, მაგრამ მერე რომ კარგათ დაფიქრდნენ, გადასწყვიტეს, ისევ ისა სჯობია, რომ ეს ფულები სამხანაგო ბანკში დარჩესო, რომ თავნა უფრო სარგებლით იმუშაოსო.

* *

ოცდა შვიდი ლენინობისთვის კრებამ არჩია, ვინც რიგანათ არ იხდის სამხანაგო ფულიდან გატანილს სესხს, ის გამოირიცხოს ამხანაგობიდან, რომ მუდამ სადაფიდარბოთ არ გაგვიხდეს ხოლმე საქმეო. როდესაც ბანკის კანონები შედგა, ამხანაგობამ დააწესა, რადგან ბანკი ჩვენი სოფლის მცხოვრებლების ხელის გასამართათ არის შედგენილი, სხვა სოფლების მცხოვრებლებს ნულა გაევირეთო, მაგრამ ამ ბოლოს დროს, როცა დარწმუნდნენ, რომ რაც უფრო ბევრი ფული იქნება ბანკში, ისე უფრო ბევრი ნდობაც ექნება ამხანაგობას და უფრო ბევრი მოგებაცა, ამისთვის გადასწყვიტეს, ბანკის წესდება უნდა გამოიცვალოს და კანონათ დაიდგას, რომ სხვა სოფლებშიც გაევიროთ ამხანაგობაშიო.

* *

ამ მაგალითებით სჩანს, რომ რუსეთში ხალხის გონება დიდძალ ქვეყნის სასარგებლო საქმის საკეთებლათ. ნუ დაევიწყებთ, რომ როქდესტეცენსკის სოფლები უფრო გონება გაუხსნენ არიან, ვინაჲც მოსკოვისა და ტულის გუბერნიის სოფლის ხლები, ასე რომ, თუ აქ ასე კარგათ წადება ამხანაგობის თავნის შედგენა, იქ კიდევ უკეთ არ უნდა წადიდეს? მართომ ხშირად არ უნდა მოხდეს ხოლმე საერთო კრება, რომ სოფლები მუშაობას არ მოსცდნენ; სამ თვეში ერთხელ შეკრება სრულებით საქმეა იქნება. წლის გასულს რომ კრება მოხდება ხოლმე, მაშინ თავნის მოხველე კაცები წარუდგენენ ხოლმე კრებას წლის ანგარიშს. ამისი პირი დაურიგდებათ ანგარიშის შემამოწმებელს რჩევას, რომელიც არის ხუთი ამორჩეული პირისაგან შემდგარი. რომ ეს ხელნაწერი ანგარიშები დაურიგდებოდეს ყველა ამხანაგებს, ეს კიდევ ეფხობინება, რადგან ამითი უფრო შეიტყობენ, რა ნაირათ მუშაობს სამხანაგო თავნი.

(შემდეგი იმება).

ორიოდე სიტყვა ლენინ დასწავა და ლენინის დაქმნებასა.

მთელი საქართველოს უმთავრესი სიმდიდრე ლენინა და რაკი ყურძნის მტერა ავათ-მყოფობა გაჩნდა, საზოგადოთ ჩვენი სოფლები მეოჯახის შრომას თითქოს ზარდაცემულსავით წელი მოსწყდა; უწინ სოფლები ყოველს გაზაფხულზე დიდი იმედით ცხოვრობდა, როცა ჰხედავდა ეენახში ვაზის ტირილსა და ამნაირათ ამხნევებდა თავის მამაპაპურ გარჯილობას. სულ რომ ცოტა ვიმუშაოდენო მინც იმდენი მომივა, რომ სხვა ნაკლებობასთანაც იოლათ, საღათ გამომიყენოსო. ამ დროს დაჰკრა უცბათ ნაცარმა ვაზსა ტევენები დაშრო, დახეთკა და დაცინა: დღეის მავგერათ, მეოჯახეს გამოფიტებულ ჩენჩი დარჩა ხელში.

* *

ამ ამბავსა ისეთ უიმედობაში ჩააგდო და აქამდისაც ადღებს ჩენჩს მეოჯახეს, რომ სხვა შრომასაც კი აკლო ამის მიზეზით. მოულოდნელმა, აუხსნელმა ხანგძელმა უბედურებამ ვაზის ავათმყოფობამ, უიმისითაც ცოტა მხნეობის პატრონს, სულ ხელი შეუშალა მოგებაში და, სწორეთ რომ ეთქვა, სხვა მრავალ ჩვენი ღარიბობის მიზეზთან, ესეც ზედ შეეკცა. შურძნის ნაცარმა მართლაც საგრძნობელათ დააღარიბა, განსაკუთრებთ ძახეთში ჩვენი საქართველოს ვრი. იმან საშინლა არია შინაური ოჯახობა, ამიტომ რომ ერთობ დიდხანს გასტანა ამ ავათმყოფობამ და არ ვიცით, სად და როდის ექმნება ბოლოს ამისთანა მდგომარეობას. წარმოიდგინეთ, ყველ წელიწადის დამდეგს სოფლები ჰფერობს, სწორეთ ამ წელს მინც მომივა ღენო, თუ ვაზს კარგა მოუვლიო; უმეტესს თავის შრომას მინც კიდევ ვაზის კეთებას აღდამებს და ბოლოს ამდენი შრომიდანა პირი ღია რჩება, ღენო მინც არ მოდის და არა. მერც სულ აუღია ხელი ეენახის კეობაზე, რომ იმის მაგიერათ სხვა უფრო სასარგებლო საქმე დაეწყო და ვერც იმის კეთებას მოუტყრეთა ნაყოფი; ყოველ წელიწად ზედ აცდება და ყოველ წელიწადს პირდარჩება. ამაზე ცუდი და მხნეობის წარმთქმნე სხვა რა იქნება სოფლები მეოჯახისათვის!

* *

სხვა ქვეყნებშიაც განა კი არ გაჩნდა!



უბედურება, რომელსაც ჰქვია ყურძნის ნაცარი, მაგალითად შრანციაში, მაგრამ თადარიგის მთქ ვით თავის უბედურებას იქაური ხალხი, რაც შეიძლება, ისე მოეხმარა და ერთს ზარალს მეორე ზარალი მიიწვდებოდა. ნაცარის შემდეგ იქ იმდენათ წახდა ღვინო, რომ შრანციის ენახის პატრონებს ოცი მილიონი ზარალი მიეკათ თითო მოსაიალზე; მაგრამ, როგორც ჩვენში მოხდა, იმათ ისე კი არ იფიქრეს, მოდი იმდენათ მოაუმატოთ ფასი ღვინოს, რომ ეს ზარალი რაც მოგვივიდა ისე იმ ცოტა ღვინოდან ამოვიგოთო. ასე რომ ექნათ სულ-უფრო დაიღუბებოდნენ, ამიტომ რომ იმ ცოტა ღვინოსაც აღარაინ იყიდდა. იმათ მხოლოდ ცოტათი გააძვირეს ღვინო და საქმე ამითი გათავდა. როგორც სჩანს, გონიერმა ენახის პატრონებმა განიზრახეს: ეს ზარალი რა გეწყობა ჩვენი საკუთარია და ისე ჩვენვე უნდა ავიტანოთო, თორემ უარესი დაგვემართება: რაც მოგვივიდა, ისიც გაუყიდავი დაგერჩებაო.

* *

ამ სტლები ასე გონიერათ არ მოიქცენ, საშინლათ გააძვირეს ღვინო და რაც ზარალი ნაცარმა მისცა იმათ, ფასის მომატებით უნდოდლათ ისე ამოგოთ, მაგრამ ამაჲ კიდევ უფრო ზიანი მისცა იმათ. ღვინო აღარ გაიყიდა და ბოლოს იმდენათ დაეარდა ფასი, რომ იმის გაყიდვაც ზარალათ გადაექცათ. ამ აზრის უფრო ცხადათ დამატუცებელი მეორე მაგალითი ავიღოთ: მთქვით სოფელმა ორდლიურზე დათესა ათი ფუთის ხორბალი და მოვლოდა ას ფუთსა, მაგრამ ამინდმა ისე უმტყუნა, რომ ასი ფუთის მაგიერათ ათი ფუთი ძლიეს მოიყვანა. ღვაფასათ დათესილი ხორბლის გორაკლის გაკლა, სარგებელი იმ თავისისა და ყანაში რაც შრომა დაინარჯა — სულ ვთქვით შედგენს სამ თუფანს, დაუფრტოთ ამას ზემოთ მოხსენებული ხორბლის ფასი ხუთი მანეთი, გამოვიდა მთლათ სამ თუფანს ნახევარი, ახლა ვიკითხოთ, შეიძლება თუ არა ამ შემთხვევაში ფუთი ხორბლის გაყიდვა სამ მანეთ ნახევრად, რომ სრულად ამოიგოს მეოჯახემ დანახარჯი და თავის შრომის ფასი, მაშინ როდესაც ფუთი იმას უყიდნია ათ მანეთათ? მე მგონია, რომ ამისთანა ფასის დანიშნით იმ თავის ათ ფუთსაც ვეღარ გაჰყიდის და დამჩნება სრულებით მშრალზე, ამიტომ

რომ მახლობელ მაზრებში უქვეყლათ იქნებოდა კარგი მოსავლი და იმითი პური ისე იმ ფასათ დარჩებოდა, ან ცოტა მეტათ, როგორც წინა წლებში. მაშ ვინ გიყი იქნება, მეტს მისცემს, როცა შეიძლება ნაკლებ იყიდოს კაცმა? ამ სახით ათი ფუთის პატრონი გარდა საკუთარი ზარალისა, რომელიც შეემთხვა უამიღობისაგან, ძალიან რომ გაეძვირებინა, ჰირს ჰირზე შეუყვეცდა თავის თავს. სწორათ ასე მოიქცენ ძახეთის მიგამოულები.

ამას გარდა ჩვენი სოფელის უანგარიშო ხელ-გაშლილობა ცეცხლზე ზეთს ასხამს. ამ შემთხვევით ერთი საშინელი ცუდი თვისება გვაქვს ძველიდგან დარჩენილი: გარემოებას არ ვაქცევთ ხოლმე ჯეროვან ყურადღებას. მაგალითად როდესაც ბევრი ღვინო მოგვდიოდა, ბევრი იყო და ბევრი რომ დაგველია, მიიწვ სავარძობელი ზარალი არა იქნებოდა რა; მაგრამ ამ ყამად როდესაც ცოტა ძლიეს და მოგვედის, სმა უწინდლათივე გეყვივარს. ამ ბოლოს დროს, რალაც ღმერთმა იპრიანა, და კახელმა მებატონებმა იფიქრეს, ამ სირაჯებს რომ ეყიდით იფათ, მიოდ ჩვენვე გავხსნათ ოფილისში სარდაფები და ჩვენვე დავუწუთოთ ყიდვოთ იმ ფასათ, როგორც სხვები ჰყიდიან; სირაჯებს რომ ხელში არ ჩაუგლოთ ჩვენი მოგება, ჩვენვე ვისარგებლოთ ის არა სჯობიაო.

მართლაც, ენახოთ, გაჩნდა ოფილისში კახელი მებატონეების ღვინის სარდაფები. ღვინოც კარგი იყიდებოდა და მოგებაც კარგი ჰქონდათ. როგორც იქნა გასძლეს ერთ წელიწადს მოთმენით: თორმე მოგებას კარგათ თავდაჭერით ინახავდნენ; წლის გასულს როდესაც ანგარიში გასწიინდეს და მოგებული ფული ჯიბეში ჩაიდგეს, გაუწყრა ღმერთი და იმ უწინდელმა ისხლში ჩათესილმა ხასიათმა ისევე აკი იფეთქა. იმავე ღამეს, თუ მეორესა არ ვიცი, ერთი ამ ამხანაგობათაგანი ჩაუსხდა ხარჯვასა და მესამე დღემდის ამ ერთი წლის მოგებას ძირი გამოუჩინა. მოდი და ამისთანა ხასიათით შენ გამადიდრე ჩვენი ხალხი.. მაგრამ ამ უსიამოვნო სურათს ფარდა გადაეფარათ ის სჯობიაო....

* *

„ბოლოს—ამბობს ბრაილოვსკი მიეიქცევი ენახის მებატონეებთან შემდეგი კეთილი დარიგებით;

1) როგორც ამ ცოტა ხანში დაგვიწყობთ პირ-და-პირი ვაჭრობა თქვენი ნალიაწისა, და საელისა ისე აწცა განაგრძეთ, რომ გამოიღველებსაც უფრო ბევრი შემოსავალი გექნესთ და მიყიდებლებსაც. იქნება პირველად სამძიმოთ გეგენოსთ, რადგან ახალი საქმეა, მაგრამ შემდეგ, როდესაც სირაჯები და სხვა ვაჭრები ჩამოგვეცლებიან, ეს სარგებლობა დიდი და დიდი სავარძობელი იქნება თქვენთვის.

2) უზარმაზარი ქვევრების მაგიერათ შეინახეთ ღვინო პატარა ჭურჭლები ბოკეებში და ბოთლებში; ახლა დიდი ქვევრების წყალობით მიმამულეს ცოტ-ცოტათ არ შეუძლია ღვინის გაყიდვა, ამიტომ რომ ქვევრს რომ დააკლოს, ღვინო დაუშვარდება. ის ეძებს ნარდათ მიყიდველს და ნარდათ მიყიდველიც გახლავს სირაჯი, რომელიც ნახევარ ფასსაც არ აძლევს ღვინის პატრონს და, რასაც იძლევა, იმასაც ერთბაშათ არ აძლევს. ამ სახით ღვინის პატრონის მოგება იმის მაგიერათ, სირაჯისა და წერილმანი ვაჭრების ხელში გადადის.

* *

3) უნდა გავწინდოთ ღვინო სამჯერ გადასხმით ერთი ჭურჭლიდან მეორე ჭურჭელში, ისე რომ ერთი გადასხმიდან მეორემდის კარგა ხანი უნდა გავიდეს, რომ ძირს თხლე და სხვა ღვინის ჩირქი დაილეკოს. მდასხმა ძნელი არ არის. სი ფ რ ა ნ ი თ ა ნ ჰ ო მ მ ი თ (* ადვილათ მოხერხდება, წვეთი ღვინოც არ დაიღვრება და ცოტა დროც გავა.

* *

4) საკუთარ ენახებს თვითონ პატრონმა უნდა უგდოს ყური, ან თუ არა ხშირი შედამხედველობა მაინც უნდა ჰქონდეს და არ მიანდოს უმეცარ მებაღეებს, როგორც მართლში იციან ხოლმე გაცემა სანახევროთ. ამ შემთხვევაში მებაღე მხოლოდ იმასა ცდილობს, რომ როგორმე ერთ წელიწადს მოსცეს ეენახმა კარგი მოსავალი, თორემ შემდეგი წლის დარდი არა დაქვს, თუნდა სულაც გახმეს ენაში, თავს არ დაეკლავს.

5) მენახი უნდა გასხლას შემოდგომაზე და

*) პომი ჰქვია ტუმბოს ან წყლის საქანელსა. სიფონია რკინის მილი შუაში ძალიან ვალუნული, რომლითაც ამასხმენ ხოლმე წყალს ყოველნაირ ჭურჭლიდან.

არა გაზაფხულის დამდევს, რომ ბევრი წვენი არ დაეკარგოს ვაზს. აგრეთვე ლერწმების მოჭრა გაზაფხულზე და ზაფხულზე ორჯელ უნდა და არა ერთხელ; მისში და ივლისში. მაგრამ ყველაზე უმთავრესი ის არის, რომ ეაზის ტოტები არ გაშალოს, ამიტომ რომ ეს ეაზის ძირსაც ასუსტებს და ტყენებსაც აჩრდილებს:

6) ათი წლის განმავლობაში ეენახი სულ უნდა გაახლოს და ერთბაშად კი არა, ცოტა-ცოტაობით. თითო წელს თითო ან ოროლი კვალი ახალი ეაზის ნერგებისა უნდა გააშენოს. შევლამ იცის, რომ ძველ ეაზზე ახალი ნერგი უფრო ისხამს.

**

7) მენახი კარგათ უნდა იმარკლებოდეს, ბალახი და სხვა მცენარე არაფერი არ უნდა დარჩეს ამიტომ რომ ისინი ართმევენ ეაზს საზრდო წვენს და რომდენიც საჭიროა, იმდენს ჰაერს არ ახვედრებენ ხოლმე.

8) მავის ძირებზე სასუქი (ნეხვი) ხშირად უნდა მოეყაროს ხოლმე.

9) რაც შეიძლება უფრო წყიერათ უნდა გააყოლო ეანები მზის პირდაპირ და ერთი მეორეს არ ჩამოათარო. ბევრათ სჯობია, რომ ერთი მეორეს არ უჩრდილებდენ და მომეტებულათ მზეს შესტკეროდენ. 10) როცა ტყენათ დარჩულდებიან, საცა მორწყება საჭიროა, მაშინ უფრო ზომიერათ უნდა მოიარწყვას ხოლმე და შეთვილების დროს მორწყვა სრულებით აღარ უნდა, თორემ მაქარს მაგარი ღვინო არ გამოუყა; 11) რთველში ტყენებს უნდა გააცალო დამაალი და უმწიფარი მარცვლები; 12) უნდა ეცადოთ, რაც შეიძლება შეამკიროთ ნაცრის მოქმედება ეაზზე. ამისთვის საჭიროა ორჯერ მოაყაროთ ყოველი ეაზი გოგირდის ფხვნილით:—ერთი გაზაფხულზე, როცა კოკრები გამოუყა დაგაიშლება, მეორე, როცა ეყავის, ან არა და ყოველ ეაზს ცხერის ნეხვი რომ შემოეყარო ძირში, ძალიან მოუხდება.

სამაჰიმო, ნაწილი

წყლით ეკიმობა სახანდიანი სა.

საზოგადოთ ჩვენში ეტყვიან სახდიანს (ხურეებიანს, საოფლიანს) ესეთს აეთმოყუს, რომელსაც დიდი სიცხე აქვს, პირველ დამართებაზე კაცს ძალიან აციეებს ტანში, შემდგ

პირი უშრება და ტუჩები მეტის-მეტე სიცხისაგან კიდევ უსქდება. აეთმოყოფი იწყებს ბოლდას, გონება ეკარგება და ენა უხმება. ამისთანა ნიშნები თუ გამოჩანდა აეთმოყოფ, უნდა იცოდეს, რომ ის სახანდიანია.

**

ჩვენში დიდ ზარალს შერება ეს აეთმოყოფობა. შაობიანი ადგილები და ეგრეთეფ მთავორიანი მლობებეი გაზაფხულზე აჩენენ ამისთანა აეთმოყოფობას, რომლითაც ბევრი ხალხი კედება. ზარალული წლის „სასოფლო განეთის“ ნომრებში ეყო დაწერილებით მოხსენებული ამა აეთმოყოფობის გამჩენი მიხსენები. მისაც ჰსურს იმათი შეტყობა, შეუძლიან მიჰმართოს წარსული წლის უკანასკნელ ნომრებსა. ჩვენ აქ მხოლოდ დაწერილებით მოუყევებით ერთ გეარ წამლობას, რომელიც ამ ეჟამდ მიღებულია მთელს შერობაში და არის საუკეთესო საშუალება. ამასთანავე არაფერს ხარჯსაც არ ითხოვს, ეს საშუალება გახალესთ წყლით წამლობა.

**

რა არის საშიში ამ აეთმოყოფობაში?—ის, რომ სიცხე ემატება თანდათან და, თუ იმდენზედ მიჰწია, რომ კაცის ტანს აღარ შეუძლიან იმისი ატანა, მაშინ ძალიან სათუთა იმისი მორჩენა; მაშ უნდა მოეძებნოთ ისეთი საშუალება, რომ სიცხე მეტის-მეტე არ გაძლიერდეს აეთმოყოფის ტანში. ამისთანა საშუალება წყალი, რომელსაც თუ გონიერათ ხმაირებენ, მომეტებულ სიცხეს წარითმებს ხოლმე იმ დროამდის სანამ აეთმოყოფობას თავის გასვლის დრო არ მოუყა. შექმდე ის თავისუფლია.

**

მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ზედმიწევნით უნდა ეიცოდეთ კაცის ტანის სითბო, იმის კარგა მყოფობაში და ამასთან უნდა შეგვეძლოს კიდევ იმისი შეტყობა, როდესაც ოდნათ მოემატება სიცხე და იწყებს თანდათან გაძლიერებას. სწელულ ბმა დიდი ხანია მოგონეს ერთნაირი აევეგი, რომლითაც იტყობენ ყოველ ნაირ სითბოს: ამას სწავლულები ტერმომეტრს ეძახიან. ჩვენც ეს სიტყვა ეინმართო ხოლმე როდგან, ტერმომეტრი რომ უთხრა ყველა გაიგებს, ვისაც კი უნახავს ეს აევეგი, ან ცოტა რომ უსწავლია, და სითბოს მზომავი კი არავის გაეგონება ამიტომ რომ მედა შენს მეტი, მკითხველო, ამ სიტყვას არაინ იტყვის.

**

ჩვენს „სასოფლო განეთში“ ბევრჯერ ეყო ლაპარაკი ამ აევეზე, მაგრამ მანამდე რომ ახლაც რომ დაწერილებით გავაცრო მკითხველს ეს აევეგი, როდგან ჩვენში მაგდენათ კითხვას არაინ ატებს თავს და შეიძლება, რომ ის წინანდელი დაწერილობა ტერმომეტრისა არც კი არავის წყეიებოს. თუ იყვე იმისთანა მკითხველი, რომელსაც არამ თუ ეგნახოს, არც კი გაეგონოს ტერმომეტრი, გირჩე, როდესა გეჰქვს შემთხვევით ქალაქში ყოფნისა, ან ექიმთან თუ წახედეფა უფთკეაში, საცა წამლებს ჰყიდიან, შედი და იკითხე ტერმომეტრი მაჩენით-თქო ან თვითონ ექიმს სთხოვე, რომ გაჩვენოს და როცა ნახო, ხელი შეახე და დააკვირიდი, მაშინვე შეატყობ რომ მინის შუშაში ჩასხმული ეეცლის წყალი იწყებს დაძმელებას და ამითი გაჩვენებს, რომ შენ ხელის შესებით სითბო მოეჟატა და ამიტომ დაძმელდა ეს ეეცხლის წყლის ღერი.

**

ახლა ჩემი სიტყვებით გეტყვი, რა ნაირი ტერმომეტრი, ან როგორ იტყობენ იმითი სითბოს მოკლებას, ან მომატებას, თუმც იმედა არა მაქვს, ისე ცხადათ წარმოგიღვინო თუაღლის წინ ეს აევეგი, როგორც რაგია. ამიტომაც უფრო გირჩე, მკითხველო, თუ არ გინახავს, იკითხო, საცა ვითხარი და იქ სთხოვო, რომ გასწავლონ იმაზე მეტნაკლები სითბოს შეტყობა. ამასთან თუ იყიდი, ეს კიდევ უკეთესი იქნება, როდგან შინ ძალიან გამოსადეტგია და თუ ვინმე ვახდა აეთ უტერმომეტრით წყლით ეკიმობა აეთმოყოფისა არ შეიძლება; როდგან სიფრთხილით უნდა იმას ხმაირება და იქვე უნდა იცოდე შენ მიწვენით აეთმოყოფის სიცხე რა ზომამდეა მიწეული.

**

ტერმომეტრი ჰქვიან ნემსის სისხოთ გახერგტილის მინის მილსა, რომელსაც ზევით თავი გადაკრული აქვს და ბოლოზე პატარა შუშის ბუშტი აქვს. მთელი ბუშტი და შუშის მილი ნახეარზე ეეცხლის წყლით არის გაქმებული. შეინიშნულია, რომ ყოველი სხეულირასაც კი ეხედეთ ქვეყანაზე, სითბოსაგან გადიდება, გაიშლება ხოლმე და სიცივისაგან დაპატარავდება, შეიკუმშება ხოლმე. ამ სხეულებში ეეცხლის წყალი უფრო ზომიერათ და ადიდლ შესანიშნავათ გაიწევეს და დაპატარავდება ხოლმე. აი, ამისთვის ამოარჩიეს ეეცხლის წყალი სითბოს საზომავით. რომდენათაც

უფრო დიდი სიბოძა, იმდენათ უფრო გულ-
დებდა და, რაც უფრო ცვიდა, ისე უფრო და-
პატარაედებდა ხოლმე.

* *

როდესაც ისე ცვიდა, რომ წყალს ჰყინავს,
მაშინ აღდებენ ამ ვეცხლის წყლიან შუშას
და ჩადებენ იმისთანა ჭურჭელში, საცა წყალი
და ყინულია ერთმანერთში არეული. რამდენ-
სამე ხანს შემდეგ ვეცხლის წყალი მოიკლებს
და ერთ სიმალღებე დადებდა შუშის მიღში, და
იმასვე ძირს აღარ დაიწვეს, სანამ მთელი ყი-
ნული არ გადენება. საცა ვეცხლის სეცტის თა-
ვითა გაჩერებული, იქ გაავლებენ ხაზს და და-
უსმენ ამისთანა ნიშანს—0. ამას შემდეგ აი-
ღებენ ვეცხლის წყლიან შუშას და ჩადე-
ბენ აღუდებულ წყალში. რამდენსამე ხანს
შემდეგ ვეცხლის წყალი იმატებს შუშის მიღ-
ში და გაჩერდება ერთ სიმალღებე; ამაზე
ზევით აღარ წავა, მინამ მთელი წყალი სულ
ორთქლათ არ გადაიქცევა. ამ ალაგას გაუ-
სმენ ხაზს და დაუსმენ ან ოთხმოცს—80, ან
ასს—100. ჰევით ხაზსა და ზემო ხაზს შუა
რაც შუშის მიღია, იმას ვაჰყოფენ ოთხმოც
ნაწილათ, ან ას ნაწილათ. რომელიც ოთხ-
მოც ტერმომეტრის ეძახიან და რომელიც ას
ნაწილათ არის გაყოფილი, იმას რეო-
მეტრის ტერმომეტრის ეძახიან და რომელიც ას
ნაწილათ არის გაყოფილი, იმას ცელსის ტერ-
მომეტრს. ჩვენ აქ უფრო ცელსის ტერმო-
მეტრზე ვილაპარაკებთ და იმის ზომას ვიხმა-
რებთ.

* *

როდესაც სულ ქვემოთ ხაზიდან—0, მეორე
ხაზამდის მოიმატებს სიბოძა, მაშინ იტყვიან
ერთი გრადუსი სიბოძაო; როდესაც მეორე
ხაზიდან მესამე ხაზამდინ აიწევს ვეცხლის
წყალი შუშაში, მაშინ იტყვიან ორი გრადუს-
ისი სიბოძაო და სხ... ძაცის ტანის სიბოძა
ოცდა თექვსმეტ გრადუსს ნახევარია. ცელსის
ტერმომეტრით. ცოცხალი კაცის სიბოძა ორ-
მოცდა სამ გრადუსს აღარ ასკილდება
და ოცდა თოთხმეტ გრადუსზე ქვეით აღ-
დაიწვეს. ოცდა თერამეტი გრადუსი ტანში
შეასწავებს ცივებას. მაშინ ვიტყვიან ავთ-
ომოფს სიცხე აქვსო. ოცდა ცხრამეტამდით
აეიდა, მაშინ ვიტყვიან სიცხე მომატებულათ
აქვსო. ოცმოც გრადუსს ნახევარი სიცხე თუ
ექნა ტანს, მაშინ იტყვიან ძალიან დიდი სი-
ცხე აქვს და ორმოცდა ორ გრადუსს ნახე-
რამდის თუ აეიდ, მაშინ მორჩენის იმედი

აღარ არის. ოცმოცდა ერთ გრადუსს ნახევარს
თუ ასკილდა, ან ოცდა ცხრამეტ გრადუსს ნახე-
ვარს თუ მოაკლდა სიცხე, მაშინ მორჩენის
იმედი ეკარგება ექიმს.

* *

უნდა მივიღოთ მხედველობაში წლოვანება;
ყმაწვილს უფრო მომეტებული სიცხე ეძლევა.
ვიდრე დიდსა და მოხუცებულს ტანი უფრო
ვაკიდებდა, ვიდრე ახალგაზდასი. სხლა უნდა
მივიხსენიოთ ისიც, თუ რა ადგილს უნდა შე-
ვანოთ ტერმომეტრი, რომ ტანის ნამდვილი
სიბოძა შევითვლოთ? საუკეთესო ადგილია ილ-
ლია. იქ უნდა ჩაიდა ტერმომეტრი. მაგრამ
უნდა გაუფიქროდეს კაცი, რომ თუ სწო-
რად ავთომოფი, ტერმომეტრი არ გაატყნი-
ნოს. საკმაო მეოთხედ საათის დაცლა, რომ
შეიტყონ ნამდვილი სიბოძა ტანისა.

* *

ახლა როდესაც შევითვლოთ ტერმომეტრის
ხზარება, მივიღებთ ანალოგი თვითან წყლით
წამლობაზე. მეტად გამოკლიო მცენიერი
ექიმი ბრანდი, აი რას ამბობს. წყლით ექი-
მობა ყოველნაირს სახადიანს, ანუ საოფლი-
ან უხდება. ბინდ უწყამლე ახლ საოფლე და-
მართებულსა, ვინდ უყანასკნელ ჰამადის მი-
ღწეულსა, ორივეს ძალიან უხდება წყლით
სიცხის გამოწელება. ბათომოფი არ შეფოთავს
და არა ვითარს მწუხარებას არა გრძობს, სა-
ოფლე ადვილათ გაიციოს ხოლმე და არც
არა სხვა რაიმე სწეულდებს სტაგმებს ტანში.
მომეღელიც იმდენათ არ სწეხდება, რამდე-
ნათაც ავთომოფის შეფოთვა და მწუხარება
სხვა გვარი წამლობით აუფხვებს იმას. ოთუ რი-
გზე უწყამლა კაცმა წყლითა, ერთიც არაიენ
მოკვდება საოფლიანაჲ.

* *

წყალი ართმევს ტანს მომეტებულ სიცხეს
ავთომოფობაში.

იმის ხზარებით ავთომოფს არ მოსდის ტან-
ში მაგარი ცივება და არ დაიწყებს შფოთეს.
როდესაც ცივება გაიციოს, წყალი აქრობს
სიცხეს და ტანს მოსყვებით ამყოფებს.

* *

როგორ უნდა ახმარონ წყალი ავთომოფს,
ან ჯანარი წყალი უნდა, ცივი, თუ ნელ
თბილი და როდის უნდა იხმარონ?

ოთუ ავთომოფის ოთხმოც არის დიდი ვარ-
ცილი, ან როფი, ან ვანა ეს ყველას ემჯობი-
ნება. მაშინ გაასვენენ ამ დიდ ვარცლს წყ-
ლით და შიგ აბანებენ ავთომოფს.

შეიძლება იხმაროს კაცმა ნელთბილი წყა-
ლი და ცივიც, მხოლოდ ეს არის შესანიშნ-
ე, რომ ნელ თბილი წყალი ტანს უფრო ნე-
ლა ართმევს სიბოძას; ამისთვის ავთომოფი
უფრო დიდხანს უნდა დარჩეს შიგ. ცივი წყა-
ლი კი უფრო მალე ართმევს სიბოძას და ამი-
სთვის უფრო მალეც უნდა გაათავოს ხოლმე
შიგ ბანეში. ბანების დროს ტანზე წინდის წა-
სმა ძალიან კარგია; ამასთანავე თავზედაც ხში-
რათ უნდა იხსნას ხოლმე წყალი.

* *

მაგრამ რადგან ყველა არ ექნება ჩვენში

სამანებელი ვარცხლი, ამისთვის უფრო მო-
ხერხებული იქნება ან ზეწარი, ან სხვა რამე,
დიდი ჩიტი დასველოს ცივი წყლით და შიგ
გახვიოს ავთომოფი შემდეგ დროს და დროს
გამოვივით ზედ ასხას ხოლმე წყალი ამ ზე-
წარსა, რომელიც გამოართმევს ხოლმე სი-
ხეს ტანადგან. ჩვენში რომ იციან ქარხლის
ფოთლების თავზე და გულზე შემოდება, ეს
ძალიან კარგია, რადგან ესეც ართმევს სიცხე-
სა, მაგრამ უმჯობესი იქნება ჩერები დასვე-
ლონ ხოლმე, დაკარგ გულზე, მუცელზე
ავრთეთ თავზედაც შემოადგენ ხოლმე და
ხშირად უნდა გამოუტყლოთ.

* *

რამდენს ხანს უნდა გაჩერდეს წყალში ავთ-
ომოფი?—სამადის წყალს არ შევითვლო და
სამანებლის შიგ ვანაში თითოლო არ დაიწყოს
ტანის გაცივებით; შემდეგ უნდა ამოვიდეს
და გაუშრობელი უნდა ჩაწვეს ქვეშ-საგვებში.
როდესაც ტერმომეტრით შევითვლოთ, რომ
სიცხე ტანს ისევე მოეპატა, ხელმოვრთე უნ-
და აბანონ ხოლმე. ბრანტი ერთს დღე და
ღამეში ექვჯერ აბანებდ. ხოლმე თავის ავთ-
ომოფებს.

* *

რაც რომ მალე დაწყებინებენ ბანებას
ავთომოფს ის კიდევ სჯობია. არამც თუ სა-
ოფლიანს, ცივებისასც ძალიან უხდება ცივი
წყალი ტანის გაგრილება; აქ რომ თავი-
დანე ბანების დაწყება უფრო მალე აისუტებს
სახალსა. ბრანტი დაწყებინებდა ბანებას, მა-
შინ როდესაც ტერმომეტრი აჩვენებდა ოც-
და ცხრამეტს გრადუსს ტანის სიბოძას.

* *

როდესაც დარწმუნებით იციან, რომ ავთ-
ომოფს გამოაჩნდა სახადი, მაშინვე დაუწყე-
ბენ ბანებას, ან წყლის სხმას ტანზე, მანამდის
ავთომოფი ძლიერ თითოლას არ დაიწყებს,
მარე დაწყებენ საწოლში, ფეხებს თბილათ
შეუწახევენ დაახურევენ თხელ საბანს, გულზე
და მუცელზე კი სველ ჩერებს დაადებენ ხოლ-
მე. ოთუ ავთომოფს არ ეძინება და შენდისენ,
რომ ის ისევე გათბა, მაშინ ჩერებს გამოუტყ-
ლონ ხოლმე, რომ მეკრდი და მუცელი მუ-
ლამ გაგრილებული ჰქონდეს. ოთუ ავთომოფს
ძინება არ უნდა დაეწყებინო ძილი ჩერების
გამოსაცვლილათ.

ოთუ რამდენსამე საათს შემდეგ სიცხე კი-
დევ მოეპატა და ტერმომეტრმა ოცდა ცხრა-
მეტ გრადუსი აჩვენა, ავთომოფი მაშინვე
უნდა აბანაო.

სხმა და სხმა აბანაი

ბოლს ტენელია ძირების შენახე-
ვა. ნამიანს სარდაფში ჰარხლოს ძირები სტა-
ფილო, ოხრახუში ნახურის და სხვა მალე
ლამებან და მშროლო სარდაფში მალე შენახე-
ვა. აი, რასა ურჩევენ იმათ კარგათ მენახისა-
თვის. უნდა მოთხარონ ძირები დარჩან ამინ-
დში და რამდენიმე დღე დაიწყონ ბეღელში,
როცა სინამე არ არის, მაგრამ არც ისე თბი-

ლა, რომ ძალიან გახმენ. მერე მშრალ სარდაფში იატაკზე მოაყრიან მშრალ ქვიშას ორი გონჯის სისქეზე და თუ ის არ არის, ფიცრის ნახერხსა, რომელსაც ნახშირის ფხენილი აქვს გარეული. მერე დააწყობენ ზედ ბოსტნეულის ძირებს და ზვეით ისევ იმ ნახშირ-გარეულ ნახერხს მოაყრიან. ნახშირ, გარეული ქვიშა მაინც ისევ კარგათ ინახავს ბოსტნეულის ძირებს, რომ დაობებულიას გააკეთებს და სიღამაღეს აღარ მიჰკიდებს.

— მცენარის განაყოფიერება. მულობრებმა გააკეთა ათი საყენი თოკი, რომელზედაც ერთი ციდას სიგემ მატყლის ბეწვები აქვს დასხმული მთელი თოკის გაყოფილებაზე და ზოგიერთ ბეწვებს ჰქონია ჰაჭაჰა საფარტები, როდესაც ყანა თავებს დაასხამს, მაშინ გაშლიან, ერთ კაცს თოკის თავი უჭირავს ხელში, მეორეს ბოლო და შუაშია ც პატარა ბაგვს აქვს ხელი მოკიდებული. ამნაირათ მოდიან ყანაში და თოკი მატყლის ბეწვებით მხვდება თათივით. მათ ყანაში ჯარ უნდა ამნაირათ გაატარონ.

მთაის მცენარეებს, მაგალითად ლიმონებს და სხვა ის ანაყოფიერებს, აი ამნაირათ: ხეზე დაცხებს თაფლსა და მერე ყველინის მუყაულში რომ ჰაჭაჰა ღერია ძალიან ფთხილათ წაუსვამს. ამას ჰქვია სათესლე და იმის თავს ეძახიან სათესლეს ტუჩსა. მერე ფრთით დოწვეს ყველიებზე წასა-წამოსმას. ამნაირათ განაყოფიერებული მცენარე ყოველითვის გამოიღებს ხოლმე ნაყოფსა.

— ხეივლების გასანაყოფიერებლათ მულობრები აკეთებს მატყლისაგან ჰატარა ციდას. ზოგიერთ ბეწვებზე თაფლი აქვს მოცხებული და მერე ამ ციდასით თითქოს ხეივლების ყველიებს აცლის მტერსაო, ისე სწმენდავს.

მოწყვეტილ ვარსკვლავებზე. მართმა ვარსკვლავთ მრიცხველმა, პულიე-მრავიემ პარიზის აკადემიას წარუდგინა თავისი გამოძიება, თუ როგორ უნდა მოიქცეს კაცი, რომ შენიშნოს ხოლმე ვარსკვლავების მოწყვეტა ყოველ ნაირ ცის კამარზე და ყოველ მხარეზე. იმან გამოიკვლია, რომ ვარსკვლავების მოწყვეტის დროს ხენის მდინარეში წყალი ადიდება ხოლმე (ხენის მდინარე პარიზის ქალაქში გადის).

ის დარწმუნდა, რომ 1864 წელს აქეთ თორავტს და ცამეტს გიორგობის თვის, როგორც მარიამობის თვეშია ხოლმე, თანადათ მატყლობს. 1833 წელს ერთს საათს ას ოცდა ათი ვარსკვლავი მოწყვდებოდა ხოლმე, მერე თანდათან იწყობ კლებას, ასე, რომ საათში თერთმეტ ვარსკვლავამდის დავიდა, ახლა ისევ თანდათან იმატა მოწყვეტილმა

ვარსკვლავებმა ასე, რომ საათში თექვსმეტზე მეტი ვარდება ხოლმე.

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ როგორც დედამიწა და სხვა პლანეტები (უსინათლო ქვეყნის სხეულები) უცილიან გარეშეშო მზესა, ისე არის, მრავალი ჰაჭაჰა სხეული ქვეყანაში რომელნიც აგრეთვე ვარსკვლავთაგან მზეს, ზოგი ამითგანი თავის მსგეილობაში იმდენათ დაუახლოვდებიან ხოლმე მიწას, რომ მიწა იტაცებს და ეს ჰაჭაჰა სხეული გამოსწყვს მიწისკენ; როგორც კი მოხვდება ჰარის კამარს, მომეტებული სიჩქარით ისე საშიშლათ ეხახუნება ჰარის, რომ განხურდება და აღს იღებს, რომლის გარე ჩვეულებებზე ვარსკვლავათ. ამ სხეულებს მეცნიერები ეძახიან ჰავროლოტებს (ჰავრის ქვებს).

მართმა მეცნიერმა შიემ განიზრახა, თუ მეცნიერების დამტკიცება მართალია, მაშ განიხილავ ჰავრიდგან ჩამოვარდნილს ქვას და ვეცდები იმისთანა ქვის შედგენასაო. მართლაც განიხილა და დარწმუნდა, რომ ჰავროლოტის გეგმა უდგენილი მადნეული, ან მტალი ბუნებაში არსად იპოვება. თუმცა ბევრია შიე ნარევი მადნეულობა, რომელიც ცალკლა იმყოფება ჩვენი დედამიწის გულში.

თუ ჰავროლოტი მართლა აღს იღებს და იწეის მიწიდან მოშორებულს ცის კამარაში, მაშ დადუღებულ მადნეულობისთანა უნდა იყოსო. ამისთვის შიემ აიღო ის მტალები, რომლის ნაირი აღმოაჩინა ჰავროლოტში და დასწვა ერთად. თუ ჰავროლოტების განხურება და იმ თუ ვარსკვლავსავით განათება, მართალია, ამ მტალებსა გაციეების შემდეგ ისეთი თვისება უნდა ჰქონდეს, როგორც ჰავროლოტსაო.

მართლაც ისე გამოვიდა და ცხადათ დამტკიცდა მეცნიერების აზრი ჩამოვარდნილ ვარსკვლავებზე.

მერცხლის ბუდეები. ჩინეთში მერცხლის ბუდეები პირველი საჭეღია და იქ თუ არ მდიდარი, ღარიბი ვერ იზოვნის ამისთანა ძვირფასს საჭეღსა. ამ მერცხლის ეძახიან სალანსა. შუნი ამტკიცებდნენ, რომ ეს მერცხლები აკეთებენ თავის ბუდეებს ზღვის მცენარებისაგანო. მაგრამ მულდერმა გამოიკვლია და დარწმუნდა, რომ თუ არ ხორკულისაგან, მცენარისაგან მართლ არ მოხერხდება ამისთანა ბუდის გაკეთება, იეთი შედგენილობა აქვსო. იგივე მასალა იპოვება ჩვენი მერცხლის ბუდეებში, მხოლოდ განსხვავება იმაშია, რომ იქაური ბუდე თითქმის მარტო მერცხლის ნერწყვისგან არის შემდგარი და ჩვენი მერცხლის ბუდე ტალახისაგან და თივისაგან და მერცხლის ნერწყვით როგორც წებოთი, ისე შეკრული.

გიგლიორაზიული ცნობა.

სამეურნეო საზოგადოებისაგან გამომდინარე წიგნი წარსული წლის გამოცემა. სულ ზეთი წიგნია.

პირველ წიგნში შემდეგი სტატიები: მეურნეობა და იმის შემწე მცენარეებანი: შარანის უზღის ტყე, რომელიც მდებარეობს სამხრეთისკენ. — მღვედვეცისა.

მაკასიის სამეურნეო საზოგადოების შედგენილობა 1869 წელს.

მეორე წიგნი: მეურნეობა და იმის შემწე მცენარეებანი: ტრუხიანის უბანებში თუ რა ნაირათ გაკეთდეს წყალი.

საზოგადოების მატანე: საზოგადოების რჩევის სხდომა და იმის პროტოკოლი 10 იანვარს 1869 წ.

პროტოკოლი საზოგადოების კრებისა 14 იანვარს 1869 წ.

დამატება 14 იანვრის პროტოკოლზე შესახებ აბრეშუმის ვარ ჰაბე.

პროტოკოლი რჩევისა 8 თებერვალს 1869 წ.

პროტოკოლი საზოგადოების რჩევისა 11 თებერვალს 1869 წ.

პროტოკოლი საზოგადოებისა 25 თებერვალს 1869 წ.

პროტოკოლი საზოგადოების ერთი წლის სხდომისა 27 თებერვალს 1869 წ.

მაკასიის სამეურნეო საზოგადოების ანგარიში 1867 და 1868 წელს.

მესამე წიგნი: მეურნეობა და იმის შემწე მცენარეებანი: ზიანს მოყვანა — რემიერისა.

პროტოკოლი საზოგადოების ჩვეულებრივი კრებისა 10 მარტს 1869 წელს.

პროტოკოლი საზოგადოების რჩევისა 15 მარტს 1869 წელს.

პროტოკოლი საზოგადოების ჩვეულებრივი კრებისა 19 მარტს 1869 წ.

დამატებანი.

პატალად ხეივლებისა და ჯავარიანი ხეებისა, ბუჩქებისა და ნაშენებისა, რომელიც იწყობიან საპროტოკოლი ლკინის ხუტორში მაკასიის სამეურნეო საზოგადოებისა.

სულიად რუსეთის ხელსაქმარის გამოფენის წესი 1870 წელს პეტერბურგს.

პატალად იმა საგნებისა, რომელიცა იყენებ მთლის გამოფენაში 1869 წელს: სახელმე ცხოველები, საქონლის ნაწარმებისა, აბრეშუმეულობისა და ნაღობისა.

მეთოზე წიგნი: მეურნეობა და იმის შემწე მცენარეებანი: მჯახობა და მოხელობა მთავრის მებურებელთა.

მიწის მეშობა პილარელი ყაბის პოლიცისა.

მეთოზე და მეექვსე წიგნი: მეურნეობა და იმის შემწე მცენარეებანი: რუსული მოხელობისა და ვიკრობის განხილვა და სუბულეზანი იმის წარმატებისა — საზოგადოების მატანე: პროტოკოლი საზოგადოების ჩვეულებრივი ყრილობისა, 5 მაისს 1869 წელს.

პროტოკოლი საზოგადოების რჩევისა 2 ივნისს, 1869 წელს. პროტოკოლი საზოგადოების რჩევისა 27 სექტემბრის 1869 წ.

დამატებანი.

მაქისის მოხსენება, რომელმაც განიხილა უ. სტოესკის პროტოკოლი მაქისიონერობისა და სამეურნეო შრომის განხორციელებისა აქეთა მხარეში.